

**მედიაწიგნიერება და მედიარესურსების გამოყენება სწავლებისას მასალის
უკეთ ათვისების მიზნით**

ლელა ბუხულიაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ქართული ენისა და ლიტერატურის
მასწავლებლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის საგნის/საგნობრივი
ჯგუფის მასწავლებელი (ქართული ენა და ლიტერატურა)

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ტალიაშვილი, სრული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2016

1.2. განაცხადი

განაცხადი მიზნად ისახავს წარდგენილი სადოქტორო ნაშრომის დაცვას პლაგიატისაგან. ის წარმოადგენს ნაშრომის ავტორის განაცხადს მის მიერ წარდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ. განაცხადში სასურველია შემდეგი შინაარსის ტექსტის გამოყენება:

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლელა ბუხულიეშვილი

27.06.2016.

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს ქართულ სკოლებში მედიაწიგნიერების უნარების განვითარების და საგანმანათლებლო პროცესში მედიარესურსების გამოყენების საკითხის ალწერთ კვლევას. კვლევის მიზანია დაადგინოს, თუ რა სიტუაციაა მედიაწიგნიერების განმავითარებელი უნარების სწავლებასთან დაკავშირებით სკოლებში. ამასთან, განსაზღვროს მასწავლებლის როლი ამ პროცესში - როგორ, რამდენად ხშირად და რა მიზნით იყენებენ ისინი მედიარესურსებს. კვლევის ძირითადი კითხვებია:

- 1. რა ცოდნას ფლობენ დაწყებითი და საბაზო საფეხურის პედაგოგები მედიაწიგნიერების შესახებ?*
- 2. იყენებდნენ თუ არა ისინი მედიარესურსებს გაკვეთილებზე? თუ იყენებენ, რა მიზნით და რა სიხშირით?*
- 3. როგორ აფასებენ პედაგოგები მათ მიერ გამოყენებული აქტივობების ეფექტურობას;*

ისევე, როგორც სხვა მრავალი კვლევის შემთხვევაში, აღნიშნულ კვლევას ჰქონდა პოტენციური შეზღუდვები/რისკები: შერჩევის არასრულყოფილი ჩარჩო, დროში შეზღუდულობა, სოციალურად მისაღები შედეგების ჩვენების სურველი პედაგოგთა მხრიდან, გაკვეთილებზე დაკვირვებით გამოწვეული დაძაბულობა;

მონაცემები დამუშავდა თეორიულად, ჩატარდა თვისებრივი კვლევა ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფი და დაკვირვება, რათა მიღებული შედეგები მაქსიმალურად მიახლოებული ყოფილიყო რეალურ სურათთან.

კვლევაში ჩართული სამი სკოლის შედეგების მიხედვით გამოვლინდა შემდეგი ტენდენციები:

- საჯარო სკოლებში გამოკითხულ პედაგოგთა უმეტესობამ არ იცოდა მედიაწიგნიერების განსაზღვრება.
- ისინი არ იყენებდნენ მედიარესურსებს ხშირად და რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ სფეროს არ ეკიდებიან ენთუზიაზმით.

- შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო საშუალოზე მაღალი დონის საჯარო სკოლაში, სადაც მასწავლებლებიც უფრო გათვითცნობიერებულნი იყვნენ და მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც გააჩნდათ. თუმცა მედიაწიგნიერებაზე მათაც ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ.
- შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მედიაწიგნიერების განვითარების მხრივ კერძო სკოლებში.

მადლობა

სამაგისტრო ნაშრომის სრულყოფისა და კრიტიკული შენიშვნებისათვის, ასევე, ნაშრომის წერის პროცესში მოწოდებული მასალებისთვის მადლობას ვუხდით ჩემი თემის ხელმძღვანელს, პროფესორ თამარ ტალიაშვილს.

ასევე, მადლიერება მინდა გამოვხატო ჩემი მეგობრებისა და ოჯახის წევრების მიმართ, რომლებიც გვერდში მედგნენ და მამხნევებდნენ ჩემი ცხოვრების ამ მეტად საპასუხისმგებლო მომენტში.